„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის
გურამ ჭანტურიას მემორიალი ელვისებურ ჭადრაკში

ქ. ბათუმი, 27 ოქტომბერი, 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15

ტურნირის კატეგორიები:

A – ღია ტურნირი;

B – 12 წლამდე ღია ტურნირი.

ჩატარების სისტემა: ტურნირი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

ტურნირში ფიდეს რეიტინგის დათვლას განსაზღვრავს ორგანიზატორი მონაწილეთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

მონაწილენი: საქართველოსა და მსოფლიოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები.

დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 2 წამის დამატებით.

თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:
1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);
2. ბუჰგოლცი;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა;
5. პროგრესი (რეგრესით).

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 25 ოქტომბრის 20.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

სარეგისტრაციო ბმული - https://forms.gle/M7YevZyVV1SR9iuu9

ტურნირის ჩატარების დრო:
ტურნირის გახსნა - 12:00 სთ.
I ტური - 12:30 სთ.
ყოველი მომდენვო ტური დაიწყება პარტიების დასრულების შემდეგ.
ტურნირის დახურვა - 16:30 სთ

საერთო წესები:
პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

გამარჯვებულები:
ღია კატეგორიაში I, II, III საპრიზო ადგილზე გასულები და 1 საუკეთესო ქალი დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფულადი ჯილდოთი, ხოლო კატეგორიის გამარჯვებული აგრეთვე თასით.
ღია კატეგორია:
I ადგილი - 200 ლ.
II ადგილი - 150 ლ.
III ადგილი - 100 ლ.
ქალთა ნომინაცია:
I ადგილი - 100 ლ.
(პრიზები დაიქვითება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2 ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში მონაწილეს გადაეცემა უმაღლესი ჯილდო).
12 წლამდე კატეგორიაში I, II, III საპრიზო ადგილზე გასულები და 3 საუკეთესო გოგონა დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, მედლებითა და დიპლომებით - კატეგორიის გამარჯვებული აგრეთვე თასით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი ალექს ტერ-კარაპეტიანი